ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2015 წლის 18 სექტემბერი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ" ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 14/06/2013, ძალაში შესვლის თარიღი: 29/06/2013, სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.139.016089) და დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ.ბ" ქვეპუნქტის, "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის, "სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის, "საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის №655 ბრძანებულების გათვალისწინებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დ ა ა დ გ ი ნ ა :"

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ზაზა ჩაჩანიძე